№6 (9889) ◆ ივნისი, 2022 წელი ◆ ფასი 50 თეთრი ◆ *გაზეთი გამოდის 1933 წლის 3 მაისიდან*

ნომრიდან ნომრამდე

სამხარეო ადმინისტრაციაში გაიმართა რეგიონში სახელმწიფო რწმუნებულის – **პაპუნა მარგველიძის** რეგიონული სამსახურების ხელმძღვანელებთან სამუშაო შეხვედრა, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენს რეგიონის მასშტაბით სხვადასხვა სფეროებში არსებული ვითარების გაცნობა

შეხვედრის მონაწილეებს სახელმწიფო რწმუნებულმა დეტალურად გააცნო რეგიონში მიმდინარე სიახლეები, მიმოიხილა არსებული ზოგადი სიტუაცია და წარმოდგენილი ინფორმაციებიდან გამომდინარე ყურადღება გაამახვილა მუნიციპალიტეტებში (ამბროლაური, ონი, ცაგერი, ლენტეხი) დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობასა და პრიორიტეტულ მიმართულებებზე. ასევე დამსწრეთ მიაწოდა ინფორმაციები რეგიონის მასშტაბით დაგეგმილი მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ.

აქტუალურ საკითხებზე მსჯელობის პარალელურად დაისახა პრობლემების დაძლევის ღონისძიებებიც. საუბარი გამოკვეთილად შეეხო სამედიცინო, სოციალური, განათლებისა და სხვა სახელმწიფო სერვისების მოსახლეობისათვის შეუფერხებლად მიწოდების უზრუნველყოფას.

შეხვედრის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე – **გიორგი მაქარაშვილი**, მოადგილე **ლაშა ჭიჭინაძე**, მაჟორიტატი დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელი **ქრისტინე კობახიძე**, ადმინისტრაციისა და სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებთან ერთად მათი მოადგილეები.

ქ. ამბროლაურში, კერძოდ გადამამუშავებელ საწარმოში „გეო-ფლაუერი“ და თაფლის საწარმოში „რაჭის ნატურალური პროდუქტები“ გაიმართა რეგიონის მეწარმეებთან სამუშაო შეხვედრა, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის მინისტრმა **სოლომონ პავლიაშვილმა** სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბარატორიის დირექტორ **ირაკლი გულედანთან** ერთად. შეხვედრის მონაწილეებმა იმსჯელეს ლაბარატორიის შესაძლებლობებზე, იქ მიმდინარე კვლევების საჭიროებებსა და მნიშვნელობაზე.

ამბროლაურის ლაბარატორიის მუშაობის გაცნობისას მინისტრმა განაცხადა, რომ ადგილობრივი მოსახლეობისათვის შესაბამისი კვლევებით მომსახურების უზრუნველყოფაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად რეგიონული ლაბარატორიების ფუნქციონირებას. ჩვენი ლაბარატორიული ქსელი აკმაყოფილებს ევროკავშირის მოთხოვნებს. ბოლო წლებში აქტიურად ინერგება თაფლის კვლევის კომპონენტიც, რაც უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ქართული პროდუქციის ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტის ხელშეწყობისათვის. შეხვედრას ესწრებოდნენ სახელმწიფო რწმუნებული **პაპუნა მარგველიძე,** მუნიციპალიტეტის მერი **ზვიად მხეიძე**, სურსათის ეროვნული და სოფლის განვითარების სააგენტოების რეგიონული სამმართველოების, ამბროლაურის ლაბარატორიის წარმომადგენლები.

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან მორიგ სამუშაო შეხვედრაზე განხილულ იქნა სოფლებში სხვადასხვა მიმართულებით არსებული მდგომარეობა და იმსჯელეს იმ საკითხებზე, რომლებიც ამ ეტაპზე შესაბამის ჩართულობას საჭიროებს.

განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ივნისში მოსული უხვი ნალექის შედეგად გამოწვეულ პრობლემებსა და დაზიანებული ინფრასტრუქტურის სწრაფად აღდგენისთვის საჭირო სამუშაოების განხორციელებაზე. ასევე ისაუბრეს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში დაგეგმილ პროექტებზე, რომლის შესაბამისად თემებში აქტიური სამუშაო პროცესები უკვე დაწყებულია.

შეხვედრაზე განიხილეს აგრეთვე მიმდინარე სოციალური და ჯანდაცვის პროგრამებიც, რომლებიც ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტში ხორციელდება. ასევე ისაუბრეს საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტში არსებულ ვითარებაზე, ზაფხულის სეზონისთვის განსახორციელებელ აქტივობებზე და ამ დროისთვის არსებულ სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე.

მუნიციპალიტეტის მერმა **ზვიად მხეიძემ** წარმომადგენლებს დაავალა მოსახლეობის მიმართვებზე სწრაფი რეაგირება და მათთვის მერიაში მოქმედ პროგრამებზე დეტალური ინფორმაციის მიწოდება.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ყველა თემში უკვე დასრულდა ადგილობრივ მოსახლეობასთან სამუშაო შეხვედრები **„2023-2026 წლების პრიორიტეტის დოკუმენტის“** შედგენასთან დაკავშირებით. შევახსენებთ მკითხველს, რომ პრიორიტეტის დოკუმენტი ასახავს ინფორმაციას საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შესახებ და ითვლება მუნიციპალიტეტის განვითარების ერთ-ერთ ძირითად დოკუმენტად.

პრიორიტეტების განსაზღვრა კი ხდება მოსახლეობის უშუალო ჩართულობით და გულისხმობს ისეთი ღონისძიებების განხორციელებას, რომლებიც ხელს შეუწყობს ინფრასტრუქტურის განვითარებას, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, კულტურისა და სპორტის სფეროების განვითარებას და მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანი სხვა ღონისძიებების ხელშეწყობას.

ახლახანს მერიაში პრიორიტეტის დოკუმენტზე მომუშავე ჯგუფის მორიგ შეხვედრაზე ითქვა, რომ მიმდინარე წელს „პრიორიტეტის დოკუმენტზე“ ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრების ძირითადი მიზანი – მომავალი წლის ბიუჯეტის დაგეგმვაში საზოგადოების მონაწილეობა და პრიორიტეტების განსაზღვრაში მათი უშუალო ჩართულობა მიღწეულია.

ამბროლაური - ღვინის ფესტივალის მასპინძელი

ქ. ამბროლაურმა თვის ბოლოს **„რაჭა-ლეჩხუმის ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების ფესტივალს“** უმასპინძლა რომელმაც საშუალება მისცა ადგილობრივი ღვინის ქარხნებისა და მცირე მარნების წარმომადგენლებს, ასევე ფერმერებს მოწვეული და ადგილობრივი სტუმრებისათვის გაეცნოთ თავიანთი წარმოებული პროდუქცია, რომელიც ნამდვილად იყო მრავალფეროვანი, რამაც ფესტივალის სტუმრებს, რომელთა შორის იმყოფებოდნენ აღმოსავლეთ ევროპის ექპორტიორები, მეღვინეები და დისტრიბუტორები, გამოფენა-გაყიდვის ფარგლებში, არა მარტო პროდუქციის გაცნობის, ღვინოების დაგემოვნების საშუალება მისცათ, არამედ შეხვდნენ ადგილობრივ მეღვინეებს, მოხდა გამოცდილების, აზრთა გაზიარება. რაც თავის მხრივ ადგილობრივ მეღვინეებს აძლევს ევროპის წამყვან ღვინის ექსპორტიორებთან უშუალოდ, პირდაპირი მოლაპარაკებების წარმოების საშუალებას.

ფესტივალს ესწრებოდნენ, სამხარეო და ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებთან ერთად, რეგიონში სახელმწიფო რწმუნებული **პაპუნა მარგველიძე** და მაჟორიტარი დეპუტატი **გოჩა ენუქიძე.**

რაჭა-ლეჩხუმის ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების ფესტივალი, რომლის მიზანი რეგიონში. ტრადიციული მეღვინეობის აღდგენა-შენარჩუნება და მცირე მეწარმეების ხელშეწყობა იყო, გაიმართა შპს „ჯი ეს სერვის გრუპის“ და სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით.

სტიქია: ზარალი ითვლება

ჩვენმა ბრძენმა წინაპრებმა ცხოვრებისეული დაკვირვებებისა და გამოცდილების საფუძველზე გასათვალისწინებლად ბევრი ბრძნული მოსაზრება დაგვიტოვეს. განსაკუთრებით ბუნებრივ მოვლენებთან დაკავშირებით, რომლებთანაც ხშირად საპრევენციო ღონისძიებებიც კი უძლურია. ივნისის თვეს ჩოხა დამპალა დაარქვეს, რომელიც სხვა თვეებისაგან ხშირი წვიმებით გამოირჩევა. წლევანდელს მეტი მოუვიდა. გამუდმებულმა წვიმებმა პრობლემები შეუქმნა რეგიონის ოთხივე მუნიციპალიტეტის მოსახლეობას, მაგრამ 21 ივნისს მოსული ნალექი, ძლიერი ქარისა და ალაგ-ალაგ სეტყვის თანხლებით ძლიერი სტიქია იყო და სერიოზული ზიანი მიაყენა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფელს.

სტიქიამ განსაკუთრებით დააზარალა სოფლები: ლიხეთი, აბარი, ურავი, საკეცია, ზნაკვა, სადმელი, ქედისუბანი, ჯვარისა... დაზიანებულია როგორც სასოფლო, ისე საუბნო გზები, ელექტრო გადამცემი ბოძები, დატბორილია ეზოები და საკარმიდამო ნაკვეთები, საცხოვრებელი სახლების ნაწილს გადახდილი აქვს სახურავები...

სტიქიით დაზარალებულ სოფლების მოსახლეობას შეხვდნენ, მოადგილეებთან და შესაბამის სამსახურების ხელმძღვანელებთან ერთად, სახელმწიფო რწმუნებული **პაპუნა მარგველიძე**, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ასლან საგანელიძე**, მერი **ზვიად მხეიძე**, მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელი **ქრისტინე კობახიძე**...

ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების წარმომადგენლებმა მოსახლეობისგან დეტალური ინფორმაციები მოისმინეს სოფლებში არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით და ადგილზე გაეცვნენ სტიქიით შექმნილ ვითარებას.

სტიქიის ზონებში ოპერატიულად იქნა მობილიზებული ტექნიკა, ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს გაწმენდითი სამუშაოები, მთელი დატვირთვით იმუშავეს მაშველებმა და ენერგეტიკოსებმა. შექმნილია სტიქიის დამთვლელი კომისია და ხდება ზარალის ზუსტი აღრიცხვა.

დიდი მოლოდინის შემდეგ

რა სწრაფად მიქრის დრო და რა სწრაფად ხდება ღირებულებათა გადაფასება. თითქოს გუშინ იყო, ეკლესიისკენ გახედვაც რომ არ შეიძლებოდა, არა თუ შესვლა, ლოცვა და სანთლის დანთება, უფრო მეტიც, ანგრევდნენ და ეკლესიის ქვებს მოსახლეობა სამშენებლო მასალად იყენებდა. დაანგრიეს ხოტევის მაცხოვრის სახელობის ტაძარი და მის ადგილზე სკოლა ააშენეს, წარწერიანი ქვებიც კი კედლებში მოაქციეს, მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიას კი მოზარდი პირუტყვის გამოსაზამთრებლად იყენებდნენ, ან საქონლის საკვებს ინახავდნენ ზამთრისათვის, ასე იყო თითქმის ყველგან, ადამიანს როცა რწმენას უკარგავ და სულს უნადგურებ, რას სთავაზობ სანაცვლოდ?! ურწმუნო კაცი მხეცზე საშიში და დაუნდობელია, რაღაცამ თუ არ შეაკავა, ფანტაზიას საზღვარი არა აქვს. რწმენაა ის, რაც ადამის მოდგმას ზნეობის ნორმებს უწესებს და ადამიანის ჩარჩოში სვამს. ფრიად სასიხარულოა, რწმენისაკენ შემობრუნება და ღვთის სახლების აღდგენა-მშენებლობა. დიდი მოლოდინის შემდეგ ველევსაც ეღირსა ღვთის წყალობა, გადმოიხედა მადლით მოსილმა პიროვნებამ და დაიწყო მოსახლეობის ოცნების ხორცშესხმა, ამჟამად ხდება ტაძრის ნაშთის ნანგრევებიდან გასუფთავება.

სოფელ ველევის სამების სახელობის ეკლესიას საინტერესო ისტორია აქვს. თავდაპირველად ტაძარი სოფლის ყველაზე მაღალ ადგილას მდგარა, ისეთ ადგილას, სოფლის ყველა მცხოვრებს რომ შეეძლო ყოველ დილით სახლიდან გამოსვლისთანავე დანახვა და პირჯვრის გადაწერა, ლამაზი მისასვლელიც ქონია, უზარმაზარი ცაცხვის ხე ახლაც დგას გორის ძირში. დაკიდებული გზა მიუყვებოდა გორის თავში ვაკეზე მდგარი ტაძრისაკენ, მაგრამ დროთა განმავლობაში გორა დამეწყრილა, მიწა ჩამოშლილა, საყდარიც დაზიანებულა და იქვე ახლოს, ვაკეზე ჩამოუტანიათ და სამშენებლოდ ნაშალ ქვებთან ერთად გაბუნის კლდის სამტეხლოში დამზადებული ქვებიც გამოუყენებიათ. ტაძრის განახლების თარიღად ცნობილია 1879 წელი. იმ ადგილს სადაც თავდაპირველად მდგარა ტაძარი საყდრის გორას ეძახიან. ტაძრის საძირკვლის ნაშთი და საფლავის ქვები დღესაც ჩანს. როდის აიგო, უცნობია, მაგრამ შემორჩენილი ჩუქურთმიანი ქვების მიხედვით, პატრონყმური ფეოდალიზმის ხანაში უნდა ყოფილიყო აგებული.

ფორმაციის ცვლილებასა და კომუნისტების მოსვლას მოჰყვა ეკლესიებზე შეტევა. მოინდომეს ამ ტაძრის დანგრევაც, მაგრამ ეკლესიის მახლობლად მცხოვრები ბესო გორგიაშვილი თოფით მდგარა დარაჯად და აქტივისტი კომკავშირლები მისი შიშით ვერ ბედავდნენ ტაძართან მიკარებას, გაუჩნდა სოფლის ხელმძღვანელობას თავსატეხი და ხერხს მიმართეს: მიუგზავნეს კაცი, საწალიკის მთაზე შენს სათიბებს ჯოგი ასევიაო. ისიც წავიდა სათიბების მისახედად. საღამ გატყუებული კაცი დაბრუნდა, მანამ შეესივნენ ეკლესიას და სახურავი ახადეს, მთაში ასული კი მიხვდა ვერაგობას და მალევე დაბრუნდა, მაგრამ ეკლესია სახურავახდილი დახვდა. გამწარებულს ესღა უთქვამს, თუ თქვენ მაგ გამოგადგეთ, მე ძაღლი დამიკალითო. მართლაც, ეკლესიის თუნუქის სახურავით დახურული სკოლის შენობის სახურავი ერთჯერ დიდთოვლობისას ჩანგრეულა, 2-ჯერ კი დამწვარა, ბოლოს 1970 წელს, ეკლესიის სახურავის ცაცხვის ხის მასალისაგან დამზადებული მერხები ჩაფერფლილა, თუნუქი კი სულ ჩამდნარა. ასე ახდა ბესო გორგიაშვილის ნაწინასწარმეტყველები.

სახურავახდილ ტაძარს კი აწვიმდა და ათოვდა. კედლები იშლებოდა. ნაშალი ქვები მოსახლეობას გაჰქონდა... დრო ჯირითობდა უფლის სახლზე, თუმცა ვერც სახურავის ამხდელებმა და ვერც საეკლესიო ნივთებისა და ეკლესიის ქვების ხელის მხლებლებმა ვერ იხეირეს და სანანებად გაუხდათ ჩადენილი. მე რომ ველევის სკოლაში სამუშაოდ მოვედი, ეკლესიის პატარა ზარი სკოლაში დამხვდა, მას სკოლის ზარის ფუნქცია ეკისრა.

სასწაული!

1991 წლის 27აპრილს, შაბათ დღეს, ბოლო გაკვეთილის დამთავრების მაუწყებლობის ზარს დარეკვისას ენა ჩამოსტყდა, ორშაბათს კი მიწისძვრა მოხდა და სკოლის შენობის ორი კედელი გადმოინგრა, დარჩა სახურავი სარტყელზე გაკიდებული, გადავრჩით. სამების ეკლესიის ნაშთი კი საბოლოოდ დაანგრია მიწისძვრამ. აბალახდა და მიუხედავად მცდელობისა, ბუჩქნარიც მოეძალა.

მიუხედავად იმისა, რომ ეკლესია დანგრეული იყო და სალოცავისაკენ-გახედვაც იკრძალებოდა, მოსახლეობა გულში ინახავდა რწმენას. უფროსი თაობის წარმომადგენლებისაგან გამიგონია ჩურჩულით ნათქვამი: „სამება, სამკარიანო, შენ გევედრები!“ „სამება, სამკარიანო, დამიცავი!“ „სამება, სამკარიანო, დაგვიფარე!“

მას შემდეგ, რაც რწმენისკენ შემობრუნება დაიწყო, ყველა ველეველის ოცნება იყო სალოცავის აღდგენა, მაგრამ დღემდე ოცნება ოცნებად რჩებოდა, დღეს კი ღვთის ნებითა და ღვთისმოსავი ადამიანების წყალობით, დაიწყო აღდგენითი სამუშაოები.

ჩემი ვედრება: – სამება, სამკარიანო, გევედრები, გააძლიერე შენი მრევლი, როგორც სალოცავებისაკენ იბრუნა პირი ხალხმა, ისე მშვიდობითა და სასიკეთოდ აბრუნებინე პირი ხალხს მამა-პაპათა სამკვიდროსაკენ, არ იყოს გამოკეტილი სახლები, მესერმორღვეული და დაბოქლომებულიეზოები, დაუოჯახებელი ახალგაზრდები და საკლასო ოთახები მიჩუმებული!

გააძლიერე ველევის თემი და სრულიად საქართველო! ამინ!

ეკატერინე ჭიჭინაძე

გაიმართა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მეორე მოწვევის საკრებულოს მე-15 რიგგარეშე სხდომა, რომელმაც ცვლილებები შეიტანა „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამგზავრო გადაყვანის არსებული სვლა-გეზების ინტესივობისა და სამგზავრო გადაყვანის ტარიფების დამტკიცების შესახებ“ მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის №32 განკარგულებაში.

სხდომამ ცვლილებები შეიტანა აგრეთვე მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის №21 განკარგულებაში.

* * *

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მეორე მოწვევის საკრებულოს მე-16 მორიგმა სხდომამ მოისმინა ინფორმაცია მუნიციპალიტეტში „სოფლის მხარდამჭერი პროგრამით „დაფინანსებული პროექტების მიმდინარეობის შესახებ.

მოისმინა და შეაფასა მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსის ანგარიში 2022 წლის 01 იანვრიდან 01 ივნისამდე განეული მუშაობის შესახებ.

დაამტკიცა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის მესამე კვარტალის სამუშაო გეგმა და თანხმობა მისცა მუნიციპალიტეტის მერს ინიცირებულ საკითხზე „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის №24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

გაიმართა მერიის სათათბირო ორგანოს – ახალგაზრდული საბჭოს მორიგი სხდომა, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერმა ზვიად მხეიძემ. მან ახალგაზრდებს გააცნო მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროექტები, პროგრამები, დაგეგმილი ღონისძიებები, განიხილა მათი ინიციატივები და ერთობლივი თანამშრომლობით დაიგეგმა კიდეც ზაფხულის სეზონზე გოგონათა კალათბურთის ტურნირის ჩატარება.

სხდომაზე საბჭოს წევრებს, მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ხელმძღვანელმა მარიკა დვალმა წარუდგინათ 2022 წლის საკომუნიკაციო სტრატეგია, გააცნოთ განყოფილების მუშაობის სპეციფიკა და ახალგაზრდებთან ერთად განიხილა ის აქტივობები, რომლებიც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის გამჭირვალობის გაზრდას, საზოგადოებასთან ეფექტური კომუნიკაციის გაუმჯობესებას და ზოგადად, მუნიციპალიტეტის პოპულარიზაციას.

დაუბრუნებლობის სევდა

„ამბროლაურის მოამბე“ რესპოდენტების სიმცირეს არ უჩივის, თუმცა ახალგაზრდების გარკვეული ნაწილი შემოგვწყრა, რომ სკანდალურ თემებს არ აშუქებთო. არადა დაკვირვებული ვართ, ვისზეც მიგვანიშნებენ იმ სუბიექტების გარშემო ტრიალებენ საქმიანი იერით.

რეაქცია არ გვაქვს, რადგან მათნაირთა კატეგორიაზე არცაა გათვლილი გაზეთი, რომელიც მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესებზე საინფორმაციო მასალებთან ერთად შესაძლებლობის შემთხვევაში (პერიოდულობიდან გამომდინარე), მკითხველს შეახსენებს იმ ადამიანებსაც, რომლებმაც თავიანთი ცხოვრებით კვალი დაამჩნიეს ამბროლაურს და დღეს პენსიონერების რანგში ოჯახებში ფუსფუსებენ. არადა აღელვებთ კუთხის, ქვეყნის ბედი. აინტერესებთ გამორჩეულად მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესები. რასაც მერია ითვალისწინებს და მერის წარმომადგენლების საშუალებით მათ უფასოდ მიეწოდებათ გაზეთი. ცხადია, რედაქციასაც აწვდიან ცნობებს, ორმხრივ თანამშრომლობას კოვიდპანდემიის პერიოდში მობილურით ვაგრძელებდით. ამჟამად ხშირად გვსტუმრობენ და ოპოზიცია-პოზიციის მედიატორად ყოფნა დიდ სიამოვნებას გვანიჭებს ჩვენც. თუმცა ერთ საკითხში ერთსულოვანნი არიან. მათივე სიტყვებით, რომ ვთქვათ: იყო დრო შრომა ღირსების საქმე იყო და ფასდებოდა. დღეს ასაკოვანნი აღარავის ვჭირდებით, ამრეზით გვიყურებენ, სათავისოდ ცხოვრებას მიეჩვია ხალხი. საარსებო მინიმუმის გარდა აღარ არსებობს ზნეობრივი მინიმუმიც კი...

მათ მოგონებებს წარსულისა და აწმყოს შედარებისას ნამდვილად ახლავს ნოსტალგია ე.ი. დაუბრუნებლობის სევდა და სხვათაშორის სამშობლოსი.

ამიტომ გადავწყვიტეთ ამ რუბრიკით გზადაგზა შევეხმიანოთ, გავამხნევოთ ისინი და ამავდროულად იმედიც მივცეთ იმისა, რომ ყველაფერი კარგად იქნება *(გაგრძელება მე-3 გვ.)*.

მთავარია შემსრულებლის სიფრთხილე

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში მიმდინარე წელს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 69 სოფელში განხორციელდება 70-ზე მეტი პროექტი. ეს ის პროექტებია, რომლებიც შერჩეულ იქნა მოსახლეობის მიერ და ფინანსდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

მუნიციპალიტეტის 18 ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ორგანოში შემავალი სოფლებიდან **შიდა საუბნო გზების** რეაბილიტაცია ისურვა ღადიშის, პატარა ონის, ტბეთის, ქვედა ღვარდიის, ქვემო კრიხის, სხარტალის და ბეთლევის მოსახლეობამ. **სასმელი წყლის სისტემების** რეაბილიტაციაზე კი თლუღის, ჭელიაღეელის, კვირიკეწმინდის, ხოტევის, წკადისის, იწის, სადმელის, ძირაგეულის, ბოსტანა-ღვიარის, ქედისუბნის, ხვანჭკარის, პირველი და მეორე ტოლის, ჟოშხის, ზედა შავრის, ნამანევის, ცახის, გოგოლათის მოსახლეობამ.

ხიდბოგირების და გადასასვლელების მოწყობა პრიორიტეტად მიიჩნიეს ქვედა შავრის, გენდუშის, მაცხოვრებლებმა. გენდუშელები ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობასაც ვარაუდობენ. **ნაპირსამაგრი** სამუშაოები შესრულდება წესშიც და დამატებით თანადაფინანსებით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მიიღებენ 4000 ლარს.

კვაცხუთში, ჭყვიშში, აბარში და ლიხეთში კეთილმოეწყობა არსებული საბავშვო სკვერები, ხოლო ჭრებალოში, ურავში, ზნაკვაში და შუა კრიხში შემოკავდება და კეთილმოეწყობა **სასაფლაოები**.

სანიაღვრე არხები მოეწყობა დიდ ჩორჯოში, ზემო კრიხში, შხივანაში. **სპორტული მოედნები** მოტყიარში, ხონჭიორში, ხოლო საკეციაში და ნიკორწმინდაში სპორტული ინფრასტურქტურა.

უყეშში რეაბილიტირებული იქნება **ამბულატორიის შენობა**, ქვედა თლუღში შაორის მიმდებარედ არსებული **სავარგულებამდე მისასვლელი გზა**. ზედა ჭყვიშში მოეწყობა გზისპირა მოსაცდელი. პატარა ჩორჯოსა და მუხლში **ბეტონის საფარიანი გზები**. დანარჩენ სოფლებში კეთდება **გარე განათებები**.

წარმოდგენილი პრიორიტეტების შესაბამისად დაწყებულია საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება. უკვე დასრულებულია 64 საპროექტო წინადადებისათვის,ხოლო ხუთზე მალე დასრულდება. 15 ხელშეკრულება გაფორმებულია და დაწყებულია შესაბამისი სამუშაოებიც. 49 პროექტზე გაგზავნილია წერილები ინდმეწარმეებთან დაზუსტებული ხარჯთაღრიცხვის წარმოსადგენად, რის შემდეგაც მოხდება ხელშეკრულებების გაფორმება.

სულ დაიხარჯება 795 000 ლარი. აქედან საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით ქვეყნის რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში გამოყოფილია 734 000 ლარი, ხოლო 61 000 ლარი თანადაფინანსების სახით ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

პროექტების განხორციელება მალე დაიწყება. მთავარია, შემსრულებელთა სინდისი როგორი იქნება და იმ ადგილობრივი მოსახლეობისაც, რომლებმაც არჩევანი კი გააკეთეს, მაგრამ ხარისხზე თვალისმიდევნება რატომღაც ყოველთვის სხვის საქმედ მიაჩნიათ.

2022 წლის პროექტები ნამდვილად უკეთაა შერჩეული და იმედია, პასუხისმგებლობაც თანმხვედრი იქნება ორივე მხრიდან.

„მკითხველის თეატრი“ – „თეთრი ოთახი“

ნამდვილად საინტერესო პროექტი გამოვიდა, რადგან ავტორი ღვაწლმოსილი, უმაღლესი კატეგორიის პედაგოგია – **იზო ჯოხაძე.** წარჩინებული და ნოვატორი მასწავლებელის წოდებებით, ღირსების ორდენის, უამრავი სიგელების და სერთიფიკატების მფლობელი. ფაქტიურად მან დაიწყო მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში სწავლების ინოვაციური მეთოდების, ნოვატორული წინადადებების დანერგვა.

მიუხედავათ იმისა, რომ უკვე დამსახურებელ პენსიაზეა მაინც კონტაქტზეა მოსწავლეებთან და ონლაინ რეჟიმშიც კი ზრუნავს მათი ცოდნისა და სულიერების ამაღლებაზე, ამჯერადაც გაგვაოცა პროექტის საოცარი იდეით: მშობლიური, ქალაქის პირველ საჯარო სკოლა ეხმაურება ნამოწაფარის **ლექსო მეტრეველის** მწერალთა სამყაროში ნაბიჯის შედგმას. ლექსო ჯერ კიდევ მე-4 კლასში იყო, როცა გაიმარჯვა პროექტში „თამარ მეფის ნაფეხურები რაჭაში“. მისაბაძ მოსწავლეს სასკოლო საგნებიდან გამორჩეულად მაინც მშობლიური ენა და ლიტერატურა უყვარდა.

კალამსაც გაუთამამდა და სკოლის დამთავრებისთანავე სტუდენტიც გახდა 100 პროცენტიანი დაფინანსებით და საზოგადოების სამსჯავროზე პირველი წიგნითაც წარსდგა.

„მკითხველთა თეატრი“ გააზრებული კითხვის სწავლისთვის ერთერთი საუკეთესო მეთოდია. ამიტომ შეირჩა ლექსოს **„თეთრი ოთახიდან“** ოთხი მოთხრობის იმპროვიზაცია.

ნიშანდობლივია, რომ ლექსოს პირველი მასწავლებელი იყო იზო და იმ მეექვსე კლასელებისაც, რომლებიც გამართული მეტყველებით, იმპროვიზაციის უნარების ადეკვატური ილუსტრაციების დამზადებითა და მუსიკალური გაფორმებით იდგნენ მრავალრიცხოვანი აუდიტორიის წინაშე (მასწავლებელი მ. ხუციშვილი, ვ. მელაშვილი).

ამაღელვებელი იყო შეხვედრის დასკვნითი ნაწილი. მრავალწლიანი წარმატებული მოღვაწეობისთვის დირექციისა და მშობლების კოლექტიური მოთხოვნით ღვაწლმოსილ პედაგოგზე კიდევ ერთი წოდების მინიჭება.

ქალბატონ იზო ჯოხაძეს ქ. ამბროლაურის **„საპატიო მოქალაქის“** წოდების დამადასტურებელი სიგელი საზეიმო ვითარებაში გადასცა მუნიციპალიტეტის მერმა **ზვიად მხეიძემ**.

წრფელი იყო მილოცვები. მშობლების სახელით **ეკა გაგოშიძის** და ყოფილი მოსწავლეების სახელით **გიორგი ლობჯანიძის** მიერ წარმოთქმული. აგრეთვე მოსწავლე **კესო შიშინაშვილისა** და თვით **ლექსო მეტრეველისაგან**, რომელმაც მილოცვასთან ერთად დიდი მადლობაც გადაუხადა მშობლიური სკოლის დირექციას, პედაგოგებს, დამსწრე საზოგადოებას.

პროექტი შეაჯამა სკოლის დირერქტორმა **იამზე ლობჯანიძემ** და ხაზგასმით აღნიშნა, რომ პროექტის მიზნობრიობა და მაღალი შედეგიანობა მიღწეულია. მიღწევები ნამდვილად აქვს ქალაქის პირველ საჯარო სკოლას, რაც იზოს მსგავსი პედაგოგების დამსახურებაა.

პედაგოგობისათვის დაბადებული ადამიანი – იზო მასწავლებელი იმ დღეს გამორჩეულად ბედნიერი იყო ღვაწლის კიდევ ერთხელ დაფასებითაც, პროექტის შედეგითაც და იმ მკვრივი ძაფითაც, რომლითაც დაკავშირებულია ისევ სკოლასთან, მოსწავლე-ახალგაზრდობასთან, კოლეგებთან, საზოგადოებასთან.

„თქვენთან ყოფნა და სიცოცხლე მინდა...“

ქ. ამბროლაურში დ. აღმაშენებლისა და ვ. კობახიძის ქუჩების გადაკვეთაზე რაიკავშირის ორიგინალური აგურის ორსართულიანი შენობა იდგა, რომელიც ცნობილი რაჭის მიწისძვრას შეეწირა.

შენობის პირველი სართული ეჭირა მაღაზიებს, მეორე კი გამგეობის ადმინისტრაციას. ბუნებრივია, მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებული იყო საწყობები, საიდანაც ხდებოდა საცალო ვაჭრობისა და საკვები ობიექტების მომარაგება. მაშინ ქალაქში და თითქმის ყველა სოფელში ფუნქციონირებდა უნივერმაღები, შერეული ტიპის მაღაზიები, სასადილოები, რესტორნები, კაფეები თუ პურის საცხობები. აქედან გამომდინარე ყოველ დღე უამრავი ადამიანი მოძრაობდა ამ შენობაში, რომელთა შორის მრავლად იყო კეთილსინდისიერებით, ზნეობრივი თვისებებით გამორჩეული ადამიანები. მათ შორის **ლეილა ღოღელიანი-სუთიძე**, რომელიც 82 წლის გადასახედიდან ასკვნის, რომ მეუღლესთან ერთად განვლილ გზას უკვალოდ არ ჩაუვლია. ასეცაა. არ ფიცავს, რომ ობლობაში იზრდებოდა და დედამ ნიჭიერ შვილს 8 კლასის დამთავრების შენდეგ უსახსრობის გამო სწავლა ვერ გააგრძელებინა ჭრებალოს საშუალო სკოლაში, რასაც მტკივნეულად განიცდიდა. მხსნელად ბიძა მოევლინა, უპატრონა, წაიყვანა დედაქალაქში, სადაც დაამთავრა 3 წლიანი ცეკავშირის კოოპერატიული სასწავლებელი. წარმატებულ მსმენელს ანგარიში გაუწია დირექციამ და ბუღალტერ – ეკონომისტის სპეციალობის დიპლომთან ერთად მშობლიურ რაიონში განაწილების საგზურიც აახლა და სრულიად ახალგაზრდა 1960 წელს გახდა რაიკავშირის დიდი კოლექტივის წევრი.

39 წელი იმუშაო ერთ და იგივე ორგანიზაციაში რთულ, საპასუხისმგებლო საქმეზე და არ გყავდეს აუგის მთქმელი, ცოტას არ ნიშნავს. პირიქით, იყო მადლობები, სიგელები, პრემიები, მედლები და „ვაჭრობის დამსახურებული მუშაკის“ წოდება.

მოკრძალებული, ოპერატიული, საქმის პროფესიონალი ასე ახასიათებენ მას ხელმძღვანელები, რომლებიც იცვლებოდნენ, მაგრამ მას როგორც გამოცდილ კადრს არ ელეოდნენ.

მართალია, დამოუკიდებლადაც მუშაობდა ცოდნის დონის ამაღლებაზე, მაგრამ საქმის პროფესიონალიზმად ჩამოყალიბებაში მაინც იმ უფროსი თაობის წარმომადგენლებს უმადლის, რომლებმაც სრულიად ახალგაზრდას უმეგზურეს და უერთგულეს. ცრემლებს ვერ იკავებს მათი მოგონებისას – **მიხეილ გოგსაძემ, ვალერიან დონაძემ, ჟორა მაჩაიძემ** და სხვებმა ობოლი გოგონა შვილივით მიმიღეს, მაკვალიანებდნენ, მამობას მიწევდნენო. რიგითი ინსტრუქტორობიდან დაიწყო და თავმჯდომარის მოადგილემდე მივიდა კადრების დარგში. ხშირად თავმჯდომარეები თავიანთ პოსტსაც ანდობდნენ, რადგან იცოდნენ დაკისრებულ მოვალეობას პირნათლად შეასრულებდა. საქმის ღალატი არ სჩვეოდა...

შემდეგ 1990-იანი წლები ქვეყანაში და... 1999 წლის შემდეგ პენსიონერის რანგში ოჯახში დაბრუნება. ოჯახში, რომელიც მეუღლესთან **გურამ სუთიძესთან** ერთად მისაბაძი და სანიმუშო ჰქონდა. საზოგადოებრივი დავალებების შესრულების პერიოდში გაიცვნეს ერთმანეთი და საერთო ენაც მალე იპოვეს. გურამიც ხომ მამით ობოლი იყო. ოჯახის მართვის გამოცდილება 14 წლის ასაკიდანვე ჰქონდა მიღებული და ბოლომდე გაჰყვა უმცროს დაძმაზე ზრუნვის ვალდებულება. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი დაამთავრა და 45 წლიანი უწყვეტი სტაჟით სამსახურშიც მიღებული იყო და საზოგადოებაშიც. მისაბაძი იყო ქცევითაც და შრომითაც გვერდით მყოფთათვის. მითუმეტეს შვილებისათვის, რომლებმაც გაუმართლეს კიდეც მშობლებს.

დავითი, ქალაქის პირველი საშუალო სკოლის ოქროსმედალოსანი პირველივე გამოცდის შემდეგ პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი გახდა, რომელიც დაამთავრა ნითელ დიპლომზე და რკინა-კონსტრუქციების კათედრაზევე დაიტოვეს. ნიჭიერი ახალგაზრდის სახელი მეძმარიშვილის ჯგუფთან ერთად მალე გახდა საქვეყნოდ ცნობილი. კოსმოსის ათვისებაში შეტანილი წვლილისთვის ხარისხიც მიენიჭა და მედალიც „საბრძოლო მამაცობისათვის“. ვერ აცდუნა საზღვარგარეთიდან წამოსულმა შეთავაზებებმა. სამშობლოს ცნებას მისთვის დღესაც სხვა დატვირთვა აქვს. საწყენია, რომ ქვეყანაში 21-ე საუკუნის პირველ წლებში განვითარებულმა მოვლენებმა, ოჯახისადმი ვალდებულებებმა, იძულებული გახადა პროფესია შეეცვალა. არ ნანობს რადგან ვაუებმა გაუმართლეს.

მიხეილმა თბილისის 115-ე საჯარო სკოლის ოქროს მედალოსანმა და გურამიმ, პრომეთეს სკოლის წარმატებულმა მოსწავლემ 100%-იანი გრანტის დაფინანსებით სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიული განათლება მიიღეს. დაოჯახებული არიან და საქმიანობას წარმატებით აგრძელებენ სახელმწიფო სტრუქტურებში.

ქალიშვილი – ხათუნაც გამოირჩეოდა ნიჭიერებით, მაგრამ პროფესიად ფსიქოლოგობა აირჩია. თბილისის 95-ე საბავშვო ბაღში საქმიანობს და მაღალი ავტორიტეტიტაც გამოირჩევა. შვილებიდან ნინომ ბიზნეს-ეკონომიის განხრით მიიღო უმაღლესი განათლება, ქეთინო კი დედის კვალს გაჰყვა. დები დედობას უნარიანად უთავსებენ სამსახურებრივ საქმიანობას.

ბედნიერებაა, როცა მონაგარი კარგად გყავს. მრავლობენ. ამაზე მეტი რა უნდა ინატროს ადამიანმა? – არც არაფერი, გვპასუხობს ლეილა, ჩემ შვილებში არ ვარჩევ მულისშვილებს მარინას და გიას. მათ წინაშეც ვგრძნობ პასუხისმგებლობას. ბედნიერებაა აბა, რა. მაგრამ სიმარტოვე ყოფილა ძალზე ცუდი. 66 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა მეუღლე. მონაგარი აქ ხშირად ვერ იქნება. მე კი ვერ ველევი ჩვენს ნაწვალებ სახლ-კარს. ვერ ვტოვებ. არადა ასაკთან ერთად ძალაც მომაკლდა, მაგრამ მაინც ასე მგონია ფუძეს ვამაგრებ. მონაგარს სოფელს ვუნარჩუნებ. ოღონდ ესაა დრო მრჩება ბევრი, ძალიან ბევრი ფიქრისთვის. ვაანალიზებ ცხოვრების განვლილ პერიოდს. ხშირად ვეკითხები თავს: დავუშვი შეცდომა სადმე? ვფიქრობ, შეგნებულად ნამდვილად არა. ვაჭრობის მუშაკებს აგდებულად გვიმზერდნენ მაშინაც. კადრებივით მიმორბიან მეხსიერებაში მათი სახეები. იმ უზარმაზარ არმიაში უამრავი საინტერესო ადამიანი იყო. მათთან ურთიერთობა გზრდიდა, გხვენდა, ცხოვრებას გასწავლიდა, გაძლებინებდა.

დღეს მოგონებები მაძლებინებს, მიტირია კიდეც, ასაკოვანნი თითქოს აღარავის ვჭირდებით და განცდებს ფურცელს ვანდობ. ეს ჩემთვის, განა საზოგადოების განსასჯელად. ფიქრებით გადაღლილი თავს იმით ვინუგეშებ, რომ ასე თუ ისე ჩვენი სადა ცხოვრებით მაინც რაღაც კეთილი კვალი დავამჩნიეთ რაიონს. ვცდები?

არა, რა თქმა უნდა, არა ქალბატონო ლეილა. ისტორიას ხომ მარტო გმირები არ ქმნიან. რიგითი ადამიანების ცხოვრება უფრო ბევრის მთქმელია, შემდგომი თაობებისთვის. ეს უფრო ნოსტალგიაა, რომელიც გვიან ასაკში უმრავლესობისათვისაა დამახასიათებელი, თანმდევი. თქვენი პოეზიითაც ხომ ისევ შვილებს, შვილიშვილებს ეხმიანებით, ეფერებით. მოუწოდებთ სამშობლო გიყვარდეთო, ადამიანებთან ურთიერთობაში შეცდომემი არ დაუშვათო. „თქვენთან ყოფნა და სიცოცხლე მინდაო“ ამბობთ, ჰოდა იცოცხლეთ დიდხანს. გვჭირდებით.

ნ. დალაქიშვილი

ამჟამინდელ უნივერსიტეტი

ნანი

მართალია, მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში „ბოლო ზარი“ 30 მაისს დაირეკა, მაგრამ ეს მხოლოდ იმ მე-12 კლასელებისათვის, რომლებიც დამოუკიდებელი ცხოვრების გზას დაადგნენ, თორემ 2021– 2022 სასწავლო წელი ივნისში დასრულდა და ათასამდე მოსწავლე საზაფხულო არდადეგებზე გავიდა ახალი 2022–2023 სასწავლო წლის მოლოდინში. ამიტომ იყო მთელი თვე დატვირთული მათდამი მიძღვნილი საინტერესო ღონისძიებებით, რომლებმაც სტარტი 1 ივნისს – ბავშვთა საერთაშორისო დაცვის დღეს აიღო. წლის დასაწყისიდან 37-მა პატარამ გაგვახარა ამ ქვეყნად მოვლენით. გვიხარია, ტყუპები მოგვიმრავლდნენ...

დასამახსოვრებელი იქნება ივნისის საზეიმო დღეები არა მარტო ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეების, პედაგოგების, მშობლებისა და მოწვეული სტუმრებისათვის არამედ სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების აღსაზრდელებისათვისაც, განსაკუთრებულად უფროსი ჯგუფების იმ 95 აღსაზრდელისათვის, რომლებიც პირველ კლასში შესასვლელად ემზადებიან. ქ. ამბროლაურის საბავშვო ბაღში აღსაზრდელებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ასლან საგანელიძე** და მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელი **ქრისტინა კობახიძე** სტუმრობდნენ. სამხარეო ადმინისტრაცია, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო და მერია არდადეგების ხალისიანად გატარებასა და ბედნიერ მომავალს უსურვებს თითოეულ მოსწავლესა და აღსაზრდელს – მომავლის იმედის ყლორტებსა და თაობას.

უფალმა დალოცვილი გატაროთ ცხოვრების გზაზე ბავშვებო. იმედით შემოგყურებთ. ვიმედოვნებთ, თქვენი სახით ეროვნულად მოაზროვნე პატრიოტები შეემატება მამულს.

ბარბარე და ნაოგი

დემეტრე

ვეფხვია


ნიკოლოზი

ძმები გაბრიჭიძეები

იმღერეთ „იავნანა“, დედის ლოცვაა

ამბროლაურის კულტურის ცენტრში, ქალთა ანსამბლის **„იავნანას“** და მათი ხელმძღვანელების – **ირინა** და **მარინა ჩიხრაძეების** ვარსკვლავები გაიხსნა. დამსახურებულად. „იავნანა“ ხომ დედის ლოცვაა, მომავალია, სამშობლოს სიყვარულია. ამიტომაც დაანათლეს ანსამბლს 1975 წელს სახელად „იავნანა“ და უკვე 47 წელიწადია ერის მუსიკალურ საუნჯეზე, მის მაჯისცემაზე უდევთ ხელი. ამიტომაცაა ერთ-ერთ გამორჩეულ ანსამბლად მიჩნეული ქალთა ფოლკლორულ-საშემსრულებლო სივრცეში.

ანსამბლის ხელმძღვანელებსა და მის წევრებს ეს საქმე ბედნიერებას ანიჭებთ. მათი ნამღერიდან სხვა სიღრმე მოდის, ქართულ ღირებულებებზე დაფუძნებული ფოლკლორის სიღრმე. შესაბამისად, არც ჯილდოები და აღიარება აკლიათ. ანსამბლი უკვე ასაკოვანია, თაობების ცვლის მიუხედავად, უცვლელ ხელმძღვანელებთან ერთად, მაინც უბერებელი. საშვილიშვილო საქმეს აკეთებენ. დედაქალაქიც ბევრჯერ დალაშქრეს თავიანთი შემოქმედებით და ქვეყნის კუთხეებიც. ისინი ხომ მეგობრობის ხიდს აგებე, შთამომავლობას ფოლკლორის სახით განძს უტოვებენ. შესაბამისად ხალხის სიყვარულიც უხვად მოიმკეს. რის დასტური იყო მაყურებლით გადავსებული დარბაზი ანსამბლისა და დები ჩიხრაძეების ვარსკვლავის გახსნის დღეს.

ვარსკვლავის გახსნის საზეიმო ცერემონიალს საპატიო სტუმრებთან ერთად ესწრებოდნენ რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთის მაჟორიტარი დეპუტატი **გოჩა ენუქიძე**, სახელმწიფო რწმუნებული **პაპუნა მარგველიძე**, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერი **ზვიად მხეიძე** და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები.

ლამაზი, დასამახსოვრებელი დღე იყო, რომელსაც ლაიტმოტივად გასდევდა მოწოდება: იმღერეთ დედის ლოცვა – „იავნანა“. მას ქართველის დედა უსმენს!

სპორტი

მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების სპორტით დაინტერესება ძალზე გაზრდილია, რაც განპირობებულია პირობების შექმნით, სპორტსმენთა წახალისების პროგრამების ამოქმედებით. შედეგებიც თვალსაჩინოა. ივნისის თვეც დატვირთული იყო სპორტული ღონისძიებებით, სასიხარულო ინფორმაციებიც გვაქვს, რაზედაც მკითხველს უფრო ვრცელ ინფორმაციას მივაწვდით მორიგ ნომერში.

ვუბრუნდებით ლაზეჭილს

გაზეთში „ამბროლაურის მოამბე“ (№7–2020წ.) გამოქვეყნებული წერილით „ქვემო კრიხის ხიდის ჩივილი“ გამოხატული იყო არამარტო ქვემო კრიხელთა გულისტკივილი იმის გამო, რომ წლების მანძილზე ხიდი იყო ავარიულ მდგომარეობაში და მოყვანილი იყო სამწუხარო შემთხვევებიც.

სასიამოვნოა, რომ ადგილობრივმა თვითმმართველობამ საკითხი მოაგვარა და დღეს ხიდი უსაფრთხოა, როგორც ტრანსპორტისთვის ისე ფეხით მოსიარულეთათვის.

ამისთვის დიდი მადლობა მათ. ამავე წერილში ასაკოვანნი ქალაქში, ცენტრალური მოედნიდან, რადგან აქ მდებარეობს „ლიბერთი ბანკი“ და მუდამ ხალხმრავლობაა, დროის გარკვეულ მონაკვეთში წრიული მარშუტის დაწესებასაც ვითხოვდით სხვადასხვა ორგანიზაციებამდე, განსაკუთრებით ხიდის იქით, გადაადგილების გაიოლების მიზნით, ვფიქრობთ, არაა რთული მოსაგვარებელი.

ვიმედოვნებთ, ეს ოცნებაც აგვიხდება. ვისურვებდით: სამადლობელიც ბევრი გვქონოდეს.

ქვემო კრიხელთა სახელით **ინგა მაცაბერიძე-პაპავა**

გაზეთის „ამბროლაურის მოამბე“ რედაქციის თანამშრომლები უთანაგრძნობენ მწუხარებაში ცირა და მანანა ბაკურაძეებს შვილისა და ძმის **რევაზ ვახტანგის ძე ბაკურაძის** გარდაცვალების გამო.

ზაზა კაგოლ ძე მაისაშვილის მოგონება

„აწმყო შობილი წარსულისაგან, არის შობილი მომავალისა“... სიტყვები, რომელმაც წარსული დავიწყებას არ უნდა მისცეს, არც მიეცემა. ამიტომ ბატონ მერაბ ბუჭუხიშვილის სამადლობელით ვიწყებ შვილო შენთან საუბარს. მან გამოსცა წიგნი „დიდების სადარაჯოზე“, რომლითაც თაობებს გააცნო ქვეყნისათვის დაღუპული, თავგანწირული რაინდები. ისინი, რომლებმაც ყველაზე ძვირფასი – საკუთარი სიცოცხლე უშურველად მიიტანეს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის დაცვის სადარაჯოზე. მათ ამოძრავებდათ რწმენა იმისა, რომ „ვაჟკაცი უნდა იდგეს სამშობლოს სადარაჯოზე, იცავდეს სამშობლოს დამოუკიდებლობას“.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მათი სულები.

ამ ღირსეულ რაინდებს შორის ხარ შენ, ჩემო ტკივილო, ჩემო მოუშუშებელო იარა, ჩემო შვილო ზაზა. 26 წლის იყავი მაშინ. კეთილშობილი, ყველას ჭირ-ვარამის გამზიარებელი, ოჯახზე, ნათესავებზე, მეგობრებზე მზრუნველი, პატივისმცემელი და რაც მთავარია, სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული ჭაბუკი. ამიტომ იბრძოდი თავგანწირვით ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად სამაჩაბლოში, აფხაზეთში და თავიც შესწირე გმირულად სამშობლოს. 29 წელი გავიდა. 29 წელიწადია მხოლოდ მოგონებებით ვცოცხლობ, ცრემლით, მკვნესავი გულით.

შვილო ზაზა რა დამავიწყებს შენ სიტყვებს:

„ვფიქრობ... ამ ფიქრებში სულ შენთან ვარ,
შენს ნატვრაში დღეებს ვითვლი, მენატრები...
მენატრება შენი თბილი მოფერება...“

მუდამ ჩამესმის შენი ძახილი: დედიკო, დედი, დე. 6 ივლისი მოდის შვილო, დარდით სავსე თვე. 6 ივლისს 45 წლის ხდები.

დრო გადის, წლები მიფრინავს, გულში ფიქრები თოვს,
შენ სიკვდილს მწარედ განვიცდი, ვეღარ მოვსულვარ გონს.
შვილის თვალები სანთლად მინთია, სურათი ხატად მაქვს გულში
შენ დაგრჩა სახელი და მოგონება.
დედას კი მხოლოდ წარსულზე ფიქრი დარდად.

შვილო ზაზა! გულს იმით ვიიმედებ, რომ გმირულად დაასრულე ხანმოკლე სიცოცხლე. ნათქვამია „გმირები გმირებად არ იბადებიან, ისინი გმირულად კვდებიანო“. წუთისოფელს კაცად შერჩე ბოლომდე თურმე ესეც ხომ გმირობაა დიდი და ასეც შერჩები წუთისოფელს.

ზაკო ჩაეხუტე მამას, რომელმაც ჩვენთან ერთად იგემა შენი დაკარგვის სიმწარე. მენატრები ძალიან. გჯეროდეს ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის რომ ამ ქვეყნად სანთელი და იმ ქვეყნად ნათელი არ მოაკლდეს თქვენს ლამაზ სულებს.

დედა **მზია ენუქიძე**

რედაქტორი
დალი დარახველიძე

რედაქციის მისამართი:
ქ. ამბროლაური,
დავით აღმაშენებლის ქუჩა №24
ტელ: 593 60 40 67

„ამბროლაურის მოამბე“
რეგისტრირებულია ამბროლაურის
სასამართლოს მიერ.
რეგისტრაციის №15/5/ბ103

გაზეთი დაიბეჭდა
ბაკური ყიტაძის მიერ
ქუთაისი, წერეთლის ქ. №186.
ტელ: 0431 23 45 54

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს, ავტორი პასუხისმგებელია მასალის, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, შინაარსსა და სტილზე.